

შპს „ეიჩ-არ-ესი“

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შპს „ეიჩ-არ-ესი“

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3-4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5-6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7-8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	9
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	9
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	15
4. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	19
5. ბალანსის შემდგომი მოვლენები	20

შპს ეიჩ-არ-ესი

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,880,272	3,587,724
გაცემული სესხები	2,855,183	0
მოკლევადიანი მარაგები	17,743	16,829
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,045,268	1,374,556
სხვა საგადასახადო აქტივი	586,791	0
ძირითადი საშუალებები	42,329	48,932
სულ აქტივები	7,427,586	5,028,041
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1,464,972	237,601
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	35,558	166,257
სულ ვალდებულებები	1,500,530	403,858
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3,087,999	4,624,183
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	2,839,057	0
სულ საკუთარი კაპიტალი	5,927,056	4,624,183
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7,427,586	5,028,041
სულ მოკლევადიანი აქტივები	2,045,268	1,374,556
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,500,530	237,601

*(ერთეული ლარი)

შპს ეიჩ-არ-ესი

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

31/12/2023 31/12/2022

აქტივები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,880,272	3,587,724
გაცემული სესხები	2,855,183	0
მოკლევადიანი მარაგები	17,743	16,829
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,045,268	1,374,556
სხვა საგადასახადო აქტივი	586,791	0
ძირითადი საშუალებები	42,329	48,932
სულ აქტივები	7,427,586	5,028,041

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	1,464,972	237,601
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	35,558	166,257
სულ ვალდებულებები	1,500,530	403,858

საკუთარი კაპიტალი

გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3,087,999	4,624,183
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	2,839,057	0
სულ საკუთარი კაპიტალი	5,927,056	4,624,183
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7,427,586	5,028,041
სულ მოკლევადიანი აქტივები	2,045,268	1,374,556
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,500,530	237,601

მთავარი ბუღალტერი:

რეგიონალური მენეჯერი:



*(ერთეული ლარი)

შპს ეიჩ-არ-ესი	31/12/2023	31/12/2022
საქმიანობის შედეგები		
ამონაგები	7,570,026	8,787,549
გაყიდვების თვითღირებულება	-3,630,619	-3,023,666
საერთო მოგება	3,939,407	5,763,883
სხვა საოპერაციო შემოსავალი	308,029	0
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	-819,043	-644,233
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-42,619	-2,198
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-297,775	-565,967
საოპერაციო მოგება	3,087,999	4,551,485
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		
განგრძობითი ოპერაციებიდან	3,087,999	4,551,485
მოგების გადასახადის ხარჯი	244,242	0
მოგება / (ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	3,332,241	4,551,485
მოგება / (ზარალი) შეწყვეტილი ოპერაციებიდან	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	3,332,241	4,551,485
შემდგომში არ შეიძლება რომ რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში ან ზარალში (დაბეგვრის შედეგების გამოკლებით / გათვალისწინებით):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილება (სხვა სრულ შემოსავალში ასახვით)	0	0
სხვა სრული შემოსავლის სხვა მუხლები (რეკლასიფიცირების უფლების გარეშე)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	3,332,241	4,551,485

*(ერთეული ლარი)

შპს ეიჩ-არ-ესი	31/12/2023	31/12/2022
საქმიანობის შედეგები		
ამონაგები	7,570,026	8,787,549
გაყიდვების თვითღირებულება	-3,630,619	-3,023,666
საერთო მოგება	3,939,407	5,763,883
სხვა საოპერაციო შემოსავალი	308,029	0
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	-819,043	-644,233
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-42,619	-2,198
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-297,775	-565,967
საოპერაციო მოგება	3,087,999	4,551,485
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი		
ოპერაციებიდან	3,087,999	4,551,485
მოგების გადასახადის ხარჯი	244,242	0
მოგება / (ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	3,332,241	4,551,485
მოგება / (ზარალი) შეწყვეტილი ოპერაციებიდან	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	3,332,241	4,551,485
არომ რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში ან ზარალში (დაბეგვრის შედეგების გამოკლები)		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების)		
გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მკავშირე საწარმოების		
უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ		
გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
წილობრივი ინსტრუმენტების		
სამართლიანი ღირებულების ცვლილება		
(სხვა სრულ შემოსავალში ასახვით)	0	0
სხვა სრული შემოსავლის სხვა მუხლები (რეკლასიფიცირების		
უფლების გარეშე)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	3,332,241	4,551,485

მთავარი ბუღალტერი:

რეგიონალური მენეჯერი:



*(ერთეული ლარი)

შპს ეიჩ-არ-ესი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება				
პერიოდი	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2022	-	-	2,272,698	2,272,698
წლის წმინდა მოგება			(1,804,310)	(1,804,310)
დივიდენდი			-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	-	-	4,624,183	4,624,183
წლის წმინდა მოგება /ზარალი			(1,384,038)	(1,384,038)
დივიდენდი			-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	-	-	3,087,999	3,087,999

*(ერთეული ლარი)

შპს ეიზ-არ-ესი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება				
პერიოდი	საწყისდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2022	-	-	2,272,698	2,272,698
წლის წმინდა მოგება დივიდენდი			-1,804,310	-1,804,310
			-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	-	-	4,624,183	4,624,183
წლის წმინდა მოგება /ზარალი დივიდენდი			-1,384,038	-1,384,038
			-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	-	-	3,087,999	3,087,999

*(ერთეული ლარი)

მთავარი ბუღალტერი:

რეგიონალური მენეჯერი:



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ეიჩ-არ-ესი“ (404 417 733) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა პროგრამული უზრუნველყოფა, კერძოდ სასტუმროებსა და რესტორნებში ორაკლის მიერ შექმნილი პროგრამების და აპარატურის ინსტალაცია, დაყენება და შემდეგ ყოველთვიური მომსახურება. კომპანია დაფუძნდა 2012 წლის 30 ოქტომბერს. დღე-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 2012 წლის 21 თებერვალს. კომპანიას ჰყავს ერთი დამფუძნებელი HRS (HOSPITALITY AND RETAIL SYSTEMS), HE312582 (კიპრის იურიდიული პირი) – 100%-იანი მფლობელი. დირექტორები: ვიაჩესლავ ოვჩინნიკოვი, 71 0877733 /რუსეთის ფედერაცია/ და ვლადიმირ ეფიმოვ, 72 8703087; 76 2877702 /რუსეთის ფედერაცია/.

იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, გუდიაშვილის მოედანი, N4

ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქუჩა 88/15

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების **(მსს ფასს)** შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს

მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული მეხუთე ფინანსური ანგარიშგება.

2.3 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა და მიიღო დაშვება, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში.

2.4 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2023, 2022 წლის 31 დეკემბერსა და 2022 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
2023 წლის 1 იანვრისთვის	2.702	2.8844
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844

2.5 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
კომპიუტერული ტექნიკა	62 თვე
ავეჯი	180 თვე
ტელეფონის აპარატები	120 თვე
მეტალის საოფისე ავეჯი	240 თვე

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.6 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 7-10 წლით.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამებს.

2.7 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალსე ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალსე ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

2.8 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.9 ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში. კომპანიას გააჩნია სალარო და მასში არსებული მცირე ნაშთი უცვლელია წლების მანძილზე რადგან კომპანია ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე აღარ იყენებს სალაროს და გეგმავს დარჩენილი 47,90 ლარის საბანკო ანგარიშზე შეტანას. ფული და ფულის ექვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

2.10 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შემენის,

გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდით.

2.11 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

2.12 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმომ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

ზოგადი შენიშვნა: მოგება-ზარალის ხარჯების პუნქტები მოცემულია მინუს ნიშნით.

შენიშვნა 1 (ძირითადი საშუალებები)

ძირითადი საშუალებები 2023, 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა და შენობა	საოფისე აღჭურვილობა	ავთო- სხვა ინვენტარი	ავტო- ტრანსპორტი	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2022	0	40 550	03	0	0
შემოსვლა		5 112	0		0
გასვლა					-
ისტორიული ღირებულება 31.12.2023	0	42 329	0	-	0
დაგროვილი ცვეთა					
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	0	10 375	0	-	0

ცვეთა	0	0	0	-	0
გასულების დაგროვილი ცვეთა				-	
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	0	11 729	0	-	0

წმინდა საბალანსო ღირებულება					
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2022	0	40 550	0	-	0
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2023	0	42 329	0	-	0

შენიშვნა 2 (ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები)

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 2023, 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	2	1,880,272	3,587,724

შენიშვნა 3 (არამატერიალური აქტივები)

მოთხოვნები	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3	2,045,268	1,374,556

შენიშვნა 4 (მარაგები)

მარაგები	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
მზა პროდუქცია	4	17,743	16,829

შენიშვნა 5 (გაცემული სესხები)

გაცემული სესხები

	2023	
გაცემული სესხი	2,855,183	0
გაცემული სესხი დაკავშირებულ მხარეზე	2,855,183	-
მისაღები პროცენტი	308,029	0
მისაღები პროცენტები დაკავშირებული მხარიდან	308,029	
სულ	3,163,212	0

შენიშვნა 6 (სავაჭრო და სხვა მოთხოვნები)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	2,045,268	1,374,556
გადახდილი ავანსები		
სულ	2,045,268	1,374,556

შენიშვნა 7 (ვალდებულებები)

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	1,464,972	237,601
სხვა ვალდებულებები	35,558	166,257
სულ	1,500,530	403,858

შენიშვნა 8 (მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან)

მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან

	2023	2022
მიღებული ავანსები	1,464,972	237,601
სულ	1,464,972	237,601

შენიშვნა 9 (საერთო მოგება)

პერიოდი	2023	2022
საერთო მოგება	3,939,407	5,763,883

შენიშვნა 9 (ამონაგები)

ამონაგები

	2023	2022
რეალიზაცია	7,570,026	8,787,549
სულ	7,570,026	8,787,549

შენიშვნა 10 (საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები)

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		
	2023	2022
შრომის ანაზღაურება	819,043	644,233
ცვეთა და ამორტიზაცია	42,619	2,198
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	297,775	565,967
სულ	1,159,437	1,212,399

2022, 2023 წლებში აპარატურის შესყიდვა ხდება ნიდერლანდების იურიდიული პირისგან, ლიცენზიების და შესაბამისი მომსახურების შვედიკარიის იურიდიული პირისგან. ლიცენზიები მომსახურების გარეშე რომელსაც უწევენ კლიენტებს ჩვენი სპეციალისტები წარმოადგენს გამოუსადეგარ ლინკს და შესაბამისად ამ უკანასკნელი ორის მიწოდება ხდება ერთდროულად. აპარატურის შესყიდვა ხდება მხოლოდ იმ რაოდენობით რომელსაც კლიენტი ელოდება უკვე ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე. საწყობში არსებული ნაშთი წარმოადგენს აპარატურას რომლის გადაცემაც ვერ მოვასწარით საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე.

ხელმძღვანელ პირთა შრომის ანაზღაურება

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება		
	2023	2022
შრომის ანაზღაურება მთლიანად	819,043	644,233
სულ	819,043	644,233

4. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს:

მოგახსენებთ, რომ რადგან კომპანიის ერთ-ერთი მიზნობრივი კატეგორიაა სატუმრო ბიზნესი და 2020-2022 წლების განმავლობაში ტურიზმის სფერო სერიოზულად შეიზღუდა მსოფლიო მასშტაბით გავრცელებული ვირუსის COVID-19 (კორონავირუსი) გამო, 2022-2023 წელს ამ კატეგორიის ბიზნესი ჯერ არ იყო მზად ინვესტიციებისთვის, შესაბამისად ამან გავლენა მოახდინა ჩვენი კომპანიის საქმიანობაზეც.

გარდა ამისა 2022-2023 წელს დაიწყო ომი უკრაინასა და რუსეთს შორის. ჩვენს კომპანიას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა უკრაინულ კომპანიებთან, კომპანიის ერთე ერთი მსხვილი მომწოდებელი უკრაინის იუდიდიული პირია, ამიტომ ამ ფაქტორმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შპს“ ეიჩ-არ-ესი”-ს საქმიანობაზე.

2023 წლის განმავლობაში შეიმჩნეოდა უცხოური ვალუტის კურსის მნიშვნელოვანი რყევები, შესაბამისად ესეც შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად.

კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მაქსიმალურად შეეცდება ამ ხელშემშლელი ფაქტორების უარყოფითი ზემოქმედება დაძლიოს და საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია რეგიონალური მენეჯერის მიერ 2024 წლის 29 სექტემბერს